ლელო

საქართველოს რესპუბლიკის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის გაზეთი

18 დეკემბერი, სამშაბათი, 1990 წ.
№ 240 (10 409) ● ფასი 3 კაპ.

„ლელოს“ დღევანდელი ნომრის ფასი გაყიდვაში 15 კაპიკია

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

შეიქმნა „სამაჩაბლოს ალორძინების ფონდი“. თანხა შეგიძლიათ გადარიცხოთ საქართველოს მრეწველობისა და ვაჭრობის ბანკის სამმართველოში სწბ № 521921. „სამაჩაბლოს ალორძინების ფონდი“

00700750

ველით თქვენს გამოხმაურებას, თანხის გადარიცხვის თაობაზე გვაცნობეთ „ლელოს“ რედაქციაში.

სპორტსახკომის საწარმოო კომბინატიდან 15 ათასი მანეთი

საქართველოს სპორტსახკომის საწარმოო კომბინატის დირექტორმა ჯ. ჯავახიშვილმა გუშინ გვაცნობა, რომ შრომითმა კოლექტივმა გადაწყვიტა: „სამაჩაბლოს ალორძინების ფონდში“ გადარიცხოს 15 ათასი მანეთი. დაახლოებით ამდენივე თანხას კომბინატის თანამშრომლები ხელფასიდან და პრემიიდან გაიღებენ.

„ლელოს“ ერთი ეგზემპლარის ღირებულება საცალო ვაჭრობაში 1990 წლის ბოლოსაკენ

15 კაპიკია

ამონაგები თანხა მთლიანად „სამაჩაბლოს ალორძინების ფონდში“ გადაირიცხება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი ნაბიჯები

ცნობები მოსახლეობის ფიზიკური გაჯანსაღების სრულიად საქართველოს ასოციაციიდან.

● გაიმართა ასოციაციის პრეზიდიუმის სხდომა. განიხილეს პირველადი რგოლის — გამაჯანსაღებელი კლუბების შექმნის მომდინარეობის საკითხი, მოისმინეს დამფუძნებელი კრებიდან გაწეული პრაქტიკული საქმიანობის ანგარიში და დაამტკიცეს მომავალი სამუშაო გეგმა.

● **ამ დღეებში ასოციაციის გამაჯანსაღებელი კლუბები შეიქმნა ბარაგაულში, თბილისის მთაწმინდის, სამგორის, ჩუღურეთის და საბურთალოს რაიონებში.**

● სახალხო განათლების ბათუმის დაწესებულებათა ფიზიკური აღზრდის ასოციაციამ, რომელიც წლეულს 11 მაისს შეიქმნა, თხოვნით მიმართა მოსახლეობის ფიზიკური აღზრდის სრულიად საქართველოს ასოციაციის პრეზიდიუმს, განიხილოს ამ ასოციაციაში ბათუმელთა კოლექტიური გაწევრიანების საკითხი.

● **მოსახლეობის ფიზიკური გაჯანსაღების კლუბი „ჩაუქი“, რომელიც საბურთალოს რაიაღმასკომმა გაატარა რეგისტრაციაში, დიდ დიღომში, პეტრიწის ქუჩა № 15-ში კლუბის მუშაობის გასაშლელად გამოყოფილ არასაცხოვრებელ ფართობს დღემდე ვერ დაეუფლა. კლუბმა დახმარებისთვის მიმართა ასოციაციას, ასოციაცია კი თავის მხრივ, აძულებული გახდა, საქმეში ჩარიოს ხამართალდაცვითი ორგანოები.**

სპორტულ ჟურნალისტთა საქურაღღებოდ!

იწურება სპორტული წელიწადი. 1990 წელი, ისევე როგორც წინა ბოლო ჰერიოდები, ბარაქიანი გამოდგა — ქართველ ათლეტებს თავი არ შეურცხვენიათ. კვლავაც გაამდიდრეს თვალსაჩინო მიღწევებით მსოფლიო სპორტის მატიანე.

1990 წლის შედეგების მიხედვით, საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაცია ტრადიციულად გამოავლენს საქართველოს 10 საუკეთესო სპორტსმენს, სამ გუნდს და 10 მწვრთნელს. სპორტულ ჟურნალისტებს ვთხოვთ საუკეთესოთა თავიანთი ვარიანტი წარმოადგინონ 25 დეკემბრამდე „ლელოს“ რედაქციაში. შეგახსენებთ, რომ რჩეულ სპორტსმენთა ათეულში, ტრადიციისამებრ, ერთი ადგილი გარანტირებული აქვს საქართველოს ფალავანს ქართულ ჭიდაობაში.

სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაცია.



თბილისში, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, ამახწინათ დამთავრებულ საქართველოს ჩემპიონატზე კულტურიზმში დიდ წარმატებას მიაღწია 22 წლის ქართველმა ათლეტმა რაიბულ კირკიტაძემ (სურათზე), რომელიც აბსოლუტური ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა (იხ. მე-2 გვ.).

გია ახალაძის ფოტო.

წარმოგიდგენთ კანდიდატებს: საქართველოს ათი საუკეთესო სპორტსმენი, გუნდი, მწვრთნელი,

ეს პირველადაა...

მახსოვს, როდესაც სოხუმში მიმდინარეობდა საერთაშორისო ტურნირი მშვილდოსნობაში — „გაზაფხულის ისრები“, რედაქციის ტელეფონთან „მორიგეობა“ მიწევდა და არაერთხელ მოვისმინე ჩვენი სოხუმელი სპორტსპონდენტის თენგიზ პაჭკორიას აღფრთოვანებული სიტყვები „ორგზის საკავშირო რეკორდსმენ“ ნატო ნასარიძის შესახებ. და, აი, ახლა ჩემს წინ ზის ქერა, კაფანდარა; ცისფერთვალება ქალიშვილი, რომლის ნაზ თითებში მშვილდისრის წარმოდგენა ცოტა საძნელოსაქმეა.

● **ნატო, წლევანდელი სპორტული ხეზონი შენთვის „ბარაქიანი“ გამოდგა: ევროპის ჩემპიონატის ორი ოქროს მედალი (პირადი და გუნდური), I ადგილი „უძლიერესთა მატჩში“ „გაზაფხულის ისრები“, რომელშიც შენ ორი საკავშირო რეკორდი დაამყარე. ალბათ, მწვრთნელები ცივ ნიავს არ გაკარებენ, რათა შეძლო შენი შესაძლებლობების სრულად გამოვლენა...**

— თუ საქართველოს ნაკრებზე მეკითხებით, მართალი ბრძანდებით, აი, საკავშირო ნაკრებისა კი რა მოგახსენოთ. თავიდან აქაც კარგად გვეპყრობოდნენ, მაგრამ ამჟამად ნაკრების მთავარი მწვრთნელი ყოფილი სამხედრო მოსამსახურე არსენტ ბალოვია და მისგან უხეშობის მეტს ვერაფერს „ვიებულობთ“. დავიწყებ იმით, რომ, როგორც ყველა სამხედრო, რეჟიმის მოყვარულია. მე არ უარვყოფ იმას, რომ სპორტსმენი რეჟიმს უნდა იცავდეს, მაგრამ ხომ მაქვს უფლება თავისუფალი დრო როგორც მინდა ისე გამოვიყენო. თან, მე ხომ უკეთესად ვიცი, ფსიქოლოგიური კონცენტრაციისთვის რა უფრო მარგებს. შემდეგ, მან არ იცის თანადგომა და მხარდაჭერა იმ დროს, როცა სპორტსმენს დაყვავება და დაწყნარება სჭირდება. ერთ-ერთ შეჯიბრებაზე, უშუალოდ სროლის წინ, ჩემს პირად მწვრთნელს დაუწყო ჩხუბი იმის გამო, რომ თითქოს მან გამიფუჭა ან შემიცვალა იარაღი. შარშანდელი ევროპის ჩემპიონატი კი,

იხ. გვ. 2-ში

ბაბუა მოკრივეთა IX ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ პრიზზე

ტალღამჭრელი ხომ არ გვემუქრება?

— **მთელ** საქართველოში ბაბუკთა კრივმა ჯერ არნახულ წარმატებებს მიაღწია. იგი ტალღასავით აზვირთდა და ვეღარაფერი შეაჩერებს, — დასასკვნა გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ IX საერთაშორისო ტრადიციული ტურნირის უკანასკნელი აკორდის დამთავრებისთანავე ქვეყნის მოკრივეთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა კონსტანტინე კობცევმა, როცა მძიმე წონის გორელი გიორგი კანდელაკი ადვილად გაუმკლავდა სსრ კავშირის ნაკრების წევრ ნიკოლაი პიატაკოვს და წერტილი დაუსვა თანამემამულეთა ტრიუმფს ამ საკმაოდ სოლიდურ ასპარეზობაში.



ასეთი შეფასება სულაც არ გახლავთ გადამეტებული. ყოველგვარი ემოციურობისაგან თავი არიდების მიზნით „მშრალ“, მაგრამ ძალზე მეტყველ ციფრებს მივმართოთ. ასპარეზობაზე 114 მონაწილე გამოდიოდა; გაიმართა 102 ბრძოლა; თითოეულ წონით კატეგორიაში მოკრივეთა რაოდენობა 15-დან 8-მდე მერყეობდა; ყველაზე მეტი — 15-15 იბრძოდა მჩატე და მეორე ქვესაშუალო წონებში და ა. შ.

საქართველოს წარმომადგენლებმა: რ. ფალიანმა, კ. გოგოლაძემ, პ. გვასალიამ, ვ. ქოქოევმა, გ. კანდელაკმა და ზ. სარსანიამ ოქროს მედლები მოიპოვეს, ა. ფაროიანმა (60 კგ) „ვერცხლისა“, ზოლო ახალგაზრდებმა — კ. გულბანმა (54), გ. ხიდაშელმა (60), ვ. ტალიაშვილმა (63,5), გ. ბაღდავაძემ (63,5) ნ. დავლიანიძემ (71), დ. ჯანაშვილმა (81) და რ. ჩიქვილაძემ (91) „ბრინჯაოსი“. ქალაქის საბჭოს აღმასკომის სპეციალური პრიზი „საუკეთესო ტექნიკისათვის“ გადაეცა პ. გვასალიას. ვფიქრობთ, ასეთი წარმატება აშკარად მეტყველებს იმაზე, რომ რესპუბლიკას მოკრივეთა შესანიშნავი რეზერვი ჰყავს, რომელმაც „დიდ რინგზე“ უნდა გაიკვალოს გზა. ახლა მთავარი ის არის, რომ ეს აზვირთებული ტალღა გუთვალისწინებელმა „ტალღამჭრელმა“ არ შეაჩეროს და კარგად დაწყებული საქმე, ღირსეულად დაგვირგვინდეს.

პაატა გვასალია

ეკა ბერიძე

ჩემპიონატი განახლდა

ნოვოსიბირსკი. თბილისის „დინამოს“ კალათბურთელებმა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი ჩაატარეს აქ ადგილობრივ „ლოკომოტივთან“ და დაამარცხეს ოვი ანგარიშით 81:79 (44:37).

გაიმართა ჩემპიონატის სხვა მატჩებიც:

ალმა-ათა. ყაზახეთის დედაქალაქის არმიელებმა კიევის თანაკლუბელებს უმასპინძლეს და გაიმარჯვეს — 95:84 (55:46).

ლენინგრადი. „სპარტაკისა“ და მოსკოვის დინამოელთა შეხვედრის ბედი, ფაქტობრივად, ბოლო წუთებზე გადაწყდა. მატჩის ანგარიშია 88:85 (49:38) ნევისპირელთა სასარგებლოდ.

კიევი. ადგილობრივმა „ბუდიველნიკმა“ საკმაოდ დიდი ანგარიშით — 20 ქულის სხვაობით დაამარცხა ცსკა — 89:68 (43:36).

ტაშკენტი. უაღრესად მძაფრი ბრძოლით აღინიშნა „უსტრიიმეხანიზაციის“ კალათბურთელთა შეხვედრა ნიკოლაევის ნიკ-თან. გამარჯვება მინიმალური უპირატესობით მასპინძლებმა მოიპოვეს — 78:77 (37:37).

ქალები მაინც ვერ ვიხილეთ...

კულტურიზმი... სპორტის ამ შედარებით ახალი სახეობის გაგონებაზე, ბევრს, ალბათ, ცნობილი ამერიკელი კინოვარსკვლავი არნოლდ შვარცნეგერი წარმოუდგება თვალწინ...

გავიხსენოთ — სულ რამდენიმე ხნის წინათ კულტურიზმს არავინ მიიჩნევდა სპორტის სერიოზულ სახეობად და, ესეც რომ არ იყოს, კაპიტალიზის ერთ-ერთ „გადმონაშთად“ ითვლებოდა...

მაგრამ, საბედნიეროდ, დროთა განმავლობაში სპორტის ამ ლამაზ სახეობას საქართველოში ბევრი მომდევარი გამოუჩნდა და აი, გასულ შაბათს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში საქართველოს ჩემპიონატი გაიმართა. ამ საინტერესო შეჯიბრების ორგანიზატორები გახლდნენ საქართველოს კულტურიზმის ფედერაცია (პრეზიდენტი ა. დვალიშვილი) და საქართველოს კულტურის საერთაშორისო ასოციაცია „პეგასი“ (პრეზიდენტი დ. ბაშელეიშვილი), ხოლო სპონსორობას უწევდა კოოპერატივი „ვიქტორია“.

აღსანიშნავია, რომ მონაწილენი ოთხ წონით კატეგორიაში ასპარეზობდნენ — 65, 70, 80 და 90 კგ-მდე, შემდეგ კი თითოეულ წონაში გამარჯვებულნი აბსოლუტური ჩემპიონის სახელისათვისაც იბრძოდნენ. თავდაპირველად ჩატარდა ნახევარფინალური შერჩევები აუცილებელი პროგრამით, რომლის შედეგადაც ფინალში მონაწილეობის უფლება თითოეულ წონაში ოთხ-ოთხმა კულტურისტმა მიიღო (გარდა 90 კგ.) წონითი კატეგორიისა, სადაც ფინალში სამი მონაწილე გავიდა). ფინალში კი მრავალრიცხოვან გულშემატკივრებს ბევრი სასიამოვნო წუთი ელოდათ. რადგანაც მონაწილენი უკვე თავისუფალი პროგრამით (მუსიკის თანხლებით) გამოდიოდნენ.

მეტად საინტერესოდ წარიმართა ფინალი 65 კგ-მდე წონით კატეგორიაში, სადაც გამარჯვებულის სახელისათვის ერთმანეთს რუსთაველი ირაკლი გოგჩაძე და თბილისელი სამველ ბაღდასარიანი ეცილებოდნენ. საბოლოოდ, მსაჯთა გადაწყვეტილებით გამარჯვებული ბაღდასარიანი გამოვიდა.

ასევე შესანიშნავი სანახაობა გაიმართა ორი ძლიერი კულტურისტის — ირაკლი კარსემაშვილისა და ილია ასადჩიის გამოსვლის დროს. ორივე მათგანი დიდ ფიზიკურ ძალასთან ერთად შესანიშნავ არტისტულ თვისებებსაც ამჟღავნებდა, რაც ერთ-ერთი აუცილებელი პირობა იყო თავისუფალი პროგრამის შესრულებისას. აქაც მხოლოდ მინიმალური სხვაობით გაუსწრო კარსემაშვილმა თავის მეტოქეს. რაც შეეხება 80 კგ-მდე წონით კატეგორიას, აქ, ალბათ, ყველაზე ძლიერი და, ამასთან, მეტად თანაბარი კლასის კულტურისტები შეიკრიბნენ. ფავორიტად ამ წონაში ყველა, და საერთოდ, მთელ ტურნირზეც. ზურაბ ნებიერიძეს ასახელებდა. ფუმცა, კონკურენტებიც საკმაოდ ძლიერი ჰყავდა — მამუკა ხულელიძე, ვალერი სიროტკინი და რაიბულ კირკიტაძე. სწორედ ეს უკანასკნელი გახლდათ ის სპორტსმენი, ვინც სპეციალისტების პროგნოზები თავის სასარგებლოდ შემოატრიალა. იმდენად შთამბეჭდავად გამოვიდა იგი (განსაკუთრებით ნებისმიერი პროგრამით), რომ ძნელი დასაჯერებელი იყო ამ ახალგაზრდა სპორტსმენის სპორტის ამ სახეობაში ვარჯიშის ესოდენ მცირე სტაჟი.

ყველაზე მძიმე — 90 კგ-მდე წონით კატეგორიაში ბადალი არ ჰყავდა ამ შეჯიბრების ყველაზე ხანდაზმულ მონაწილეს ალეკო თოლიაშვილს, რომელიც, სხვათა შორის, დამოუკიდებლად ვარჯიშობს კულტურიზმში.

და აი, დაიწყო აბსოლუტური ჩემპიონატიც, სადაც ოთხივე წონაში გამარჯვებული იღებდა მონაწილეობას. მაგრამ, აქ, ვფიქრობთ, არც მსაჯებსა და არც მაყურებლებს გამარჯვებულის გამოვლენა არ გასჭირვებიათ. დიახ, მართლაც შესანიშნავად იასპარეზა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტმა, 21 წლის რაიბულ კირკიტაძემ (მწვრთნელი — მიხეილ ხურსკევაძე) და საბოლოო ჯამში საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონის სახელს დაეუფლა, მასვე ჯილდოდ გადაეცა 1500 მანეთი.

ამის შემდეგ გულშემატკივართა ოვაციები არ მოჰკლებია ჩვენს სტუმრებს — ათაციან კულტურისტთა ჯგუფს ლიტვიდან და ლატვიიდან. რა თქმა უნდა, თვალში გეცემოდათ ის განსხვავება, რომელიც ქართველ და ბალტიისპირელ სპორტსმენებს შორის იგრძნობოდა. მაგრამ, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენი სტუმრები საკმაო ხანია მისდევენ სპორტის ამ ვაკაცურ სახეობას და არაერთი მიღწევაც აქვთ მოპოვებული სხვადასხვა რანგის შეჯიბრებაზე. განსაკუთრებით დაგვამახსოვრდა რიგელი ვლადიმერ ზოტოვი და კაუნასელი რიჩარდას პეტრაუსკასი, რომლებმაც მართლაც პროფესიონალური კულტურიზმი წარმოაჩინეს. ყველაზე დიდი ოვაციები კი კაუნასელ ვიცკას დუბიცკასს ხვდა წილად. ამ საინტერესო საღამოს შესანიშნავი წამყვანი 47 წლის ვიცკასი საბჭოთა კავშირის ყოფილი ჩემპიონი გახლდათ და მისი ფანტასტიკური გამოსვლა, ჩვენი აზრით, საუკეთესო გაკვეთილი იქნება დამწყები კულტურისტებისათვის. დასასრულ, გვინდა, ერთ ფაქტზე გავამახვილოთ ყურადღება— მიუხედავად დაპირებისა, ფილარმონიის სცენაზე სხვადასხვა სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო ვერ ვიხილეთ ბალტიისპირელი კულტურისტი ქალები...



ირაკლი კარსემაშვილი



ალეკო თოლიაშვილი

გია ტუხაშვილი

დიდი ხნის შემსვენებლის შემდეგ

აფხაზეთი — საქართველოს განუყოფელი ნაწილი და ძირძველი მიწა-წყალი, ყოველთვის იყო ცნობილი ეროვნული და ხალხური სპორტული სახეობებით, მათ შორის ქართული ჭიდაობით. დიდი ხნის შესვენების შემდეგ გაიმართა აფხაზეთის პირველობა ქართულ ჭიდაობაში, რომელიც მოაწყო საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აფხაზეთის რეგიონალურმა მხარდამჭერმა ჯგუფმა.

სამწუხაროდ, ასპარეზობას თავი აარიდეს გაგრის, გუდაუთის, ტყვარჩელის გუნდებმა. ყველა გააკვირვა გალის რაიონის გუნდის არყოფნამ. სეოკ-ის წევრმა ოთარ ვახანიამ აღნიშნა, რომ გალის რაიონის სპორტული ხელმძღვანელობა წინასწარ იყო გაფრთხილებული შეჯიბრების ჩატარების თაობაზე, იმედია, აფხაზეთის 1991 წლის პირველობაში მონაწილეობას მიიღებენ სხვა რაიონების სპორტსმენებიც.

გაგაცნობთ გამარჯვებულებს წონითი კატეგორიების მიხედვით: **53 კგ.** ვ. მიქაია (ოჩამჩირის რ-ნი), **60 კგ.** კ. ლომაძე, **64 კგ.** პ. თელია (ორივე — სოხუმის რ-ნი), **68 კგ.** მ. შენგელია (ოჩამჩირის რ-ნი), **72 კგ.** ჭ. ჯოჯუა (სოხუმის რ-ნი), **78 კგ.** ო. მარგიანი (ოჩამჩირის რ-ნი), **84 კგ.** მ. მაისურაძე, **90 კგ.** რ. ლომაძე, **მძიმე.** ვ. ნიკოლავა (სამივე— სოხუმის რ-ნი).

გუნდურ ჩათვლაში უძლიერესი იყო სოხუმის რაიონის გუნდი.

თენგიზ პაპაკორია,
„ლელოს“ საკ. კორ.

სოხუმი.

ეს პირველადაა...

(დასასრული)

რომელიც საბერძნეთში გაიმართა, არასდროს დამავიწყდება. ჯერ საერთოდ არ მიძახებდნენ ნაკრებში, შემდეგ ჩვენი მწვრთნელი მეკვეიძე ჩავიდა მოსკოვში და გასვლამდე ხუთი დღეა იყო დარჩენილი, რომ გამომიხაძეს ,რადგან ვხვდებოდი, რომ ევროპის ჩემპიონატზე ვერ წავიდოდი, იმ დღეებში იარაღს არ გავკარებივარ. ხელახლა დავიწყე ვარჯიში, ფორმის აღდგენა; დღეში ორჯერ დაძაბულად ვვარჯიშობდი, რამაც მცირე ტრავმები გამოიწვია. ასე მოუმზადებლად გავემგზავრე ასეთ პრესტიჟულ შეჯიბრებაზე. ამას ისიც დაემატა, რომ ბალოვმა იარაღი გამომიცვალა. მაინც, ვფიქრობ, სტარტი წარმატებით ავიღე. შეჯიბრების დასასრულამდე ორი სერიაღა იყო დარჩენილი, ერთნაირქულიანები II-IV ადგილებს ვიყოფდით. ზუსტად მაშინ „იხელთა“ დრო ბალოვმა და „გემრიელად“ გამომლანძღა — მითხრა, რომ მე უყურადღებო ვარ, ცუდად ვისვრი, ღირსი არ ვარ ნაკრებში ყოფნისა და ა. შ. როგორ გგონიათ, შემეძლო ამის შემდეგ ზუსტად სროლა? ვერ ვისროლე და ამიტომაც მეოთხე ადგილი დავიკავე.

● **უკაცრავად, მაგრამ ვერ მივხვდი, მხოლოდ შენს მიმართ არის ასეთი თუ...**

— არა... ბუნებით არის უხეში და უტაქტო. ერთხელ ნაკრების ბიჭებიც „აუჯანყდნენ“. წელს ეშერაში გვქონდა შეკრება. არჟანიკოვას იქ ყოფნა არ იყო აუცილებელი. თან ახალგაზრდა დედაა და შვილი მშობლებთან ჰყავდა მიბარებული. სთხოვა გათავისუფლება, არ გაუშვა და, როცა დედა შვილის მოსანახულებლად წავიდა, ნაკრებიდან დაითხოვა.

● **კი მაგრამ, ყოველივე ამის შემდეგ როგორ შეგიძლიათ ასეთ კაცთან ურთიერთობა და თანამშრომლობა?**

— მე ერთი პრინციპი მაქვს — ყოველთვის დავამტკიცო, რომ ღირსი ვარ ვიყო უძლიერესთა შორის. წელს თურქეთში ვიყავით საერთაშორისო ტურნირზე. საკმაოდ ძლიერმა გუნდებმა მოიყარეს თავი: იტალიის, ლუქსემბურგის, თურქეთის ორმა, საბჭოთა კავშირის და საქართველოს ნაკრებებმა. მე, რა თქმა უნდა, საქართველოს ნაკრების ღირსების ვიცავდი. ბალოვმა აქაც დაგვიწყო „ჭკუის სწავლება“ და, როცა მეც შევეპასუხე, მომიგო: „ან შენს საქართველოსთან იქნები, ან საკავშირო ნაკრებშიო“. სწორედ ამ სიტყვებმა „დამშუტა“ გამარჯვებისთვის. ეს შეჯიბრება მოვიგე და ამით ბალოვს დავუმტკიცე, რომ სამხედრო წესებით, სამხედრო ყარგონით საუბარი მხოლოდ ჯარში თუ გამოადგება.

● **ევროპის ჩემპიონატისა და „გაზაფხულის ისრების“ გარდა წლევანდელი ტურნირებიდან კიდევ რომელს გამოარჩევ?**

— „უძლიერესთა მატჩს“, რომელიც საკმაოდ წარუმატებლად დავიწყე, მაგრამ საბოლოოდ I ადგილი დავიკავე. ამ ტურნირის მოგება რეიტინგისთვის მკვირდებოდა, რომელსაც საკმაოდ დიდ ყურადღებას აქცევდნენ მაშინ.

● **„გაზაფხულის ისრებზე“ კი არჟანიკოვას მიერ დამყარებული ორი რეკორდი გაიუმჯობესე. რა გრძნობა დაგეუფლა, როცა გაიგე, რომ რეკორდსმენი იყავი?**

— რაღაც სხვა განცდა, ამაღლებული, ვერაფრით რომ ვერ ახსნი და კიდევ ის, რომ ვიღაცას ჯობიხარ. სხვათა შორის, ამ ტურნირზე აღინიშნა კიდევ ორი სარკოკორდი შედეგი, რომლებიც სამხრეთკორეელმა სპორტსმენმა დაამყარა, მხოლოდ მისი რეკორდი „მსოფლიო“ მნიშვნელობისა იყო.

● **ბავშვობაში თუ გოცნებია მშვილდოსნობაზე?**

— არა, სიმართლე გითხრათ, არც მიფიქრია. მუსიკაზე დავდიოდი და, როგორც ჩემი კბილა გოგონების უმეტესობა, მეც ნაძალადევად ვმეცადინეობდი. ბოლოს გადავწყვიტე თავი დამენებებინა უშედეგო „გატაცებისთვის“. სახლში ვიჯექი უსაქმოდ. ჩემი ძმის მეგობარი დადიოდა მშვილდოსნობაზე და მან შემომთავაზა ვარჯიშზე მისვლა. მივედი პირველ ვარჯიშზე და მწვრთნელმა ლეკვიშვილმა აღარ გამომიშვა. პირველი წარმატების შემდეგ კი თავად დავინტერესდი.

● **ყველაზე დიდმა წარმატებამ, ევროპის ჩემპიონობამ, გარდა სახელისა, ალბათ, მატერიალური ჯილდოც შეგმატა. თუ ხაიმდუმლო არ არის, „რა ღირს“ შენი მედალი?**

— 1800 დოლარი აეროპორტშივე მოგვცა ჩვენი ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა. 6 000 მანეთამდე ცალკე გვერგება, მაგრამ ჯერ არ ამიღია. ეს ფული მოსკოვში ინახება და მას შემდეგ ჯერ არ ჩავსულვარ იქ. თუ სადმე ტურნირზე წავალ მოსკოვის გავლით, მაშინ ავიღებ. ალბათ, არ დაიკარგება.

● **როდესაც ისვრი, ფიქრობ თუ არა იმათზე, ვინც შენგან წარმატებას ელის?**

— უშუალოდ სროლის დროს არაფერზე ვფიქრობ. მე მახსოვს მხოლოდ მშვილდი, ისარი და სამიზნე. სხვაგან რომ გამექცეს გონება, შეცდომისაგან დაზღვეული არ ვიქნები.

● **რომელი შეჯიბრების მოგებას ნატრობ?**

— ოლიმპიური თამაშების და მეენატრობ, რომ მქონდეს ბედნიერება საქართველოს ღირსება დავიცვა იქ. დღეს ამის შესახებ საფუძვლიანად მსჯელობენ და მეც იმედით შევყურებ მომავალს.

ესაუბრა ინგა ჩახვაშვილი.

„ზიან-ტიპოსი“ დაეხმარება საშაჩაბლოს?

ამ დღეებში განუწყვეტლივ გვირეკავენ რედაქციაში. ადამიანები, რომლებმაც გულთან ახლოს მიიტანეს საშაჩაბლოს აღორძინების პატრიოტული მნიშვნელობა, გვთხოვენ წამოგაყენოთ წინადადება იმის თაობაზე, რომ 22 დეკემბერს ბ. პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე ლატარიით უცხოური მარკის 30 მანეთიანი გათამაშებიდან შემოსული მოგების 20-25 პროცენტი გადაირიცხოს „საშაჩაბლოს აღორძინების ფონდში“.

სიტყვა ოქვენზე 22 დეკემბერს დაგეგმილი საფუძვლიანი მიტანისა და ლატარიის გათამაშების ორგანიზატორებო!

ლატის
ფრეში

უპირო სპონსორი

სიტყვა „სპონსორი“ კარგა ხანია დამკვიდრდა ჩვენს მეტყველებაში და მასთან დაკავშირებულია ის საკვალიფიკაციო სამეცნიერო, რამაც დიდად შეუწყო ხელი ჩვენი ეროვნული სპორტის წინსვლას და მისი სახელის საერთაშორისო ხარბიელზე გატანას. სწორედ სპონსორთა წყალობა გახლდათ ის, რომ ქართველმა კარატისტებმა, „ცენტრისაგან“ დამოუკიდებლად შეძლეს „მსოფლიო“ პირველობაში მონაწილეობა. ამას მოჰყვა ჩვენი ჭაბუკებისა ასევე დამოუკიდებლად გასვლა მსგავს ასპარეზობაზე ამერიკის შეერთებულ შტატებში. სულ ახლახან კი, კვლავ სპონსორთა გულისხმიერების წყალობით, ქართველმა ,ცხენოსნებმა „დაპაზნიკეს“ მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი შეჯიბრება — პარდუბიცეს სტიპლ-ჩეისი. აღარაფერს ვამბობთ იმ უამრავ შეჯიბრებასა და ჩვენი სპორტსმენების სხვადასხვა საერთაშორისო ასპარეზობაში მონაწილეობაზე, რომლებსაც სპონსორები უეჭველად აფინანსებენ. მაგრამ, თურმე, სპონსორიც არის და სპონსორიც. ზოგს პირის გატეხაც სჩვევია. ამ მხრივ პირველობა ეკუთვნის საქართველოს აგრომრეწვის კომიტეტს. გაერთიანება „თბილხელწყლების“ დირექტორს თეიმურაზ ჭყონიას, რომელმაც სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ ბავშვთა და მოზარდთა ველოსპორტის სკოლა „გააცურა“ და უარს ამბობს იმ 100.000 მანეთის გამოყოფაზე, რომელიც მას, ორმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე, 1989-92 წლებში უნდა გადაერიცხა ველოსპორტის სკოლისათვის.

— ჩვენ, „თბილხელწყლის“ გენერალური დირექტორი თ. ხ. ჭყონია და საქართველოს პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ ბავშვთა და მოზარდთა ველოსპორტის სკოლის დირექტორი ა. ვ. გუნია — ნათქვამია ხელშეკრულებაში, — ვხელმძღვანელობთ ერთ ხსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, პროფკავშირების ცენტრალური საბჭოს და საკ. ალკ-ს 1987 წლის 25 თებერვლის №292-62 დადგენილებით: „სპორტის წარყვან სახეობებში გუნდებისა და სპორტსმენების შენახვის საკითხების მოგვარების შესახებ“ — შევადგინეთ ხელშეკრულება შემდეგნაირ გაზი: 1. გაერთიანება „თბილხელწყლებმა“ ვალდებულია: ა) სპორტსკოლა უზრუნველყოს სპორტული ფორმითა და სპორტინვენტარით, მაღალხარისხოვანი სახნავლო და საწვრთნელი შეკრებების ჩატარებით და რეპუბლიკურ, საკავშირო თუ საერთაშორისო ასპარეზობებში სკოლის აღსაზრდელთა მონაწილეობით, გაღებული ხარჯების რაოდენობა 100.000 მან. ბ) „თბილხელწყლებს“ შეუძლია ველოგუნდის ხარეკლამოდ გამოყენება. ველოხაიდეიტა გუნდს ეწოდება „ლებარდე“. ველოსკოლის სპორტსმენები და სპორტსმენთა მთელი მომსახურე ტრანსპორტი რეკლამას გაუწევს „ლებარდეს“. 2. საქართველოს პროფკავშირთა ველოსკოლა ვალდებულია: ა) სახნავლო წლის დაწყებიდანვე ველოხეტქცეაში მიიღოს 1972, 74, 75, 76, 77 წლებში დაბადებული „თბილხელწყლების“ თანამშრომელთა ბავშვები, რომლებიც უზრუნველყოფილნი იქნებიან სპორტული ინვენტარით, ფორმით, კვალიფიციური მწვრთნელებით. ბ) მოხნავლეთა არდადეგების დღეებში ბავშვები იქნებიან სპორტულ-გამაჯანსაღებელ შეკრებებზე. გ) „თბილხელწყლების“ გაერთიანების თანამშრომელთათვის სკოლაში შეიქმნება გამაჯანსაღებელი ჯგუფი. 3. თუ ერთ-ერთი მხარე მისი ვალდებულების შესრულებაზე იტყვის უარს, მაშინ ხელშეკრულება გაუქმდება... სამწუხაროდ, ამ მოთხოვნების შესრულება თავად არ მოიხურავა გაერთიანებამ.

სპორტსმენები სიტყვის ხალხი ვართ და რეკლამის ვალდებულებას პირნათლად ვასრულებთ, ბანკში კი ჩვენს ანგარიშზე კაპიკი არ ჩარიცხულა დღიდან ხელშეკრულების დადებისა. პირიქით, გაერთიანების დირექტორმა მისცა ხაწარმოს სარეკლამო ხარჯები—5 000 მანეთი, თავად სკოლას ჩაარიცხვინა ,ბანკში, ამ პირობით, რომ გადაგიდგეთო, თქვენც არ მომიკვდეთ, „თბილხელწყლებს“ კაპიკი არ გაუღია დ, როცა შეკახსენეთ დირექტორს ნაკისრი ვალდებულება, მან ეს აბაფარად ჩაგდო. ბუნებრივია, იძულებული ვართ გავაუქმოთ ხელშეკრულება.

აი, ასეთი უპირო სპონსორი გამოდგა „თბილხელწყლების“ გაერთიანება.

ა. თავაძე, ვ. კეხბა, ს. სარაჯაძე, ბ. გუნია, ვ. ფალავანი,
„შევარდენის“ ბავშვთა და მოზარდთა ველოსკოლის მწვრთნელები, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელები.

ჯემალ ცერცვაძე — არვადას საპატიო მოქალაქე

„ფრენდშიფ ფორსი“. სწორედ მისი მეშვეობით ეწვია ამერიკის შეერთებულ შტატებს ოჯახების 150-კაციანი დელეგაცია საქართველოდან. მათ შორის იყო წარსულში ქართული ხელბურთის უპირველესი ვარსკვლავი, საპატიო სპორტის ოსტატი **ჯემალ ცერცვაძე** მეუღლითურთ. ოკეანის გაღმა ამ ორკვირიანი მეგობრული ვიზიტის შესახებ ცნობილ ხელბურთელს ესაუბრა ჩვენი **კორესპონდენტი ოთარ ნოზაძე:**

— როგორც თეატრი იწყება გარდერობიდან, ჩვენთვის ამერიკული სტუმართმოყვარეობა დენვერის აეროპორტში ჩაფრენისთანავე დაიწყო. „გაუმარჯოს საქართველოს!“, „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!“ და სხვა ამგვარი წარწერები ამშვენებდა ნაირფერ ტრანსპარანტებს. ჩვენი ოჯახის მასპინძლები ქალაქ არვადას მკვიდრნი, ცოლ-ქმარი ელდონი და ლუის ლეედიგები აღმოჩნდნენ, შვიდი შვილის მშობლები. ელდონი ადრე ადგილობრივი კოლეჯის დირექტორი ყოფილა, ამჟამად მშობლიურ ქალაქში ეგრეთ წოდებულ ხელოვნებისა და ჰუმანიზმის საბჭოს უდგას სათავეში. მისი მეუღლე კი არვადას ბანკის თანამშრომელია. მასპინძლებმა საკუთარი წახლის პირველი სართული დაგვითმეს. მთელი ერთი კვირა ვცხოვრობდით ამ მართლაც სტუმართმოყვარე სახლში. აი, მომდევნო კვირა კი ქალაქ გრილში კენი და კანი უოკერების ოჯახში გავატარეთ. კენი მუსიკის მასწავლებელია, ხოლო ქალბატონი კანი დაზღვევის საგენტოში მსაზურობს. უნდა ითქვას, რომ ახალი მასპინძლები არ ჰგავდნენ ლეედიგებს, საერთო ჰქონდათ „მხოლოდ“ უდიდესი გულისხმიერება, კეთილმოსურნეობა, სითბო, სილაღე...

რა დაგვავიწყებს ოფიციალურ მიღებას არვადას მუნიციპალიტეტში: ქალაქის თავი გულთბილად მოგვესალმა და მოულოდნელად გამოაცხადა, რომ ჯემალ და გუგული ცერცვაძეები ამიერიდან ოფიციალურად ითვლებიან ქალაქ არვადას საპატიო მოქალაქეებად. იქვე ორივეს დიპლომები გადმოგვცეს ქალაქის თავიცა ხელშეწერებით და არვადას მრგვალი ბეჭდით დამშვენებული **(ვაჭვეუნებთ მის რეპროდუქციას).** ისიც გვითხრეს, რომ თქვენზე ადრე არვადას საპატიო მოქალაქეობა მხოლოდ ერთ ჭართულ ოჯახს მივანიჭეთო, — ნინო და ილიკო სუხიშვილებს. მეორე დღეს დიდი მიღება-ბანკეტი გაგვიმართეს დენვერის საუკეთესო რესტორანში. ჩვენთან ერთად საპატიო სტუმართა შორის იყვნენ კოლორადოს შტატის გუბერნატორი, დენვერის მერი და... ატლანტის შტატიდან საგანგებოდ ჩამოსული ჩვენი თანამემამულე, აშშ-ის ტელევიზიის მეცხრე არხის კომენტატორი ნუგზარ რუხაძე, ამავე არხის მენეჯერთან ერთად. მე და ნუგზარი თბილისში უცხო ენების ინსტიტუტში ვსწავლობდით ერთად, თუმცა, მოგეხსენებათ, უცხო ენები მან, რბილად რომ ვთქვათ, ჩემზე უკეთ იცის. „იცით ეს ვინ არის?!“ —მოულოდნელად მრავალმნიშვნელოვნად იკითხა ნუგზარმა და საკმაოდ „აღმატებულ ტონებში“ წარუდგინა ჩემი თავი სობანკეტო სუფრასთან მჯდომთ. „თუ ასეა, მაშინ კომპიუტერს ეცოდინება ყოველივე!“ — იყო მასპინძელთა პასუხი: იქვე, სადღაც დარეკეს და, რომ იტყვიან, ჰოი საოცრებავ — რამდენიმე წუთში მოიტანეს ჩანაწერი... ჩემი სრული სპორტული ბიოგრაფიით. გამოგიტყდებით, ამდენი რამ ჩემს თავზე თვითონაც არ მახსოვდა. ჩვენს გაკვირვებას მალე მეორე, უფრო დიდი გაოცება მოჰყვა: დენვერის ერთ-ერთ უნივერსალურ მაღაზიაში შევედით. შესასვლელში უზარმაზარი წარწერა ეკიდა — „ჩვენს უნივერმაღში იყიდება ყველაფერი, გარდა... ატომური ბომბისა!“. მეუღლეს გადავულაპარაკე: „აბა, ვიკითხოთ, ქართული ჩოხა თუ აქვთ?“. ამ კითხვაზე ერთ-ერთმა გამყიდველმა მოგვიგო: „დაათვალიერეთ ჩვენი მაღაზია და ერთ საათში გვეწვიეთ!“ ასეც მოვიქეცით —საქმე ის არის, რომ ამ მაღაზიის შემოვლა-დათვალიერებას სამი-ოთხი საათი მაინც სჭირდება. ზუსტად ერთ საათში მივაკითხეთ ნაცნობ სექციას. ჩოხის ყიდვას, ცხადია, არ ვაპირებდი, მაგრამ სპორტული აზარტი დამეუფლა. გამყიდველებმა გაგვიღიმეს და დახლზე ექვსი სხვადასხვა ფერის მასრებიანი ქართული ჩოხა გადმოგვიწყვეს: თეთრი, შავი, შინდისფერი...

ძალზე საინტერესო იყო შეხვედრა ზამთრის სპორტის ცნობილ საკურორტო ქალაქ კოლორადო-სპრინგსის ოლიმპიურ კომიტეტში. იქ ჩვენ დაგვხვდნენ მისი ვიცე-პრეზიდენტი, ხელბურთის ფედერაციის წევრები პიტერ ბიუნინგის ხელმძღვანელობით, იქვე ვნახეთ ამერიკის შეერთებული შტატების ხელბურთელ ქალთა და ვაჟთა ნაკრები გუნდების უფროსი მწვრთნელები — ცნობილი რუმინელი და ჩეხოსლოვაკიელი სპეციალისტები. ჩეხ ჰაკლიკის წინააღმდეგ [illegible] ბევრი რამ გავიხსენეთ, [illegible] ერეთი [illegible] [illegible] [illegible] სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება არ მქონდა, მერე თვალები მოუტა ეშმაკურად და მრავალმნიშვნელოვნად მითხრა: „ალბათ, იმიტომ არ მოგცეს, რომ თბილისელთა გუნდში უფრო აკლავდი თავს თამაშს, ვიდრე ქვეყნის ნაკრებში!“

ევროპისგან განსხვავებით ამერიკაში ხელბურთი, შედარებით ახალი ხილია (ამიტომაც ჰყავთ მიწვეული უცხოელი სპეციალისტები) და, ცხადია, პოპულარობით ახლოსაც ვერ მივა ამერიკულ ფეხბურთთან. მის შესახებ ადრე მე მხოლოდ წაკითხული თუ მქონდა ილფისა და პეტროვის წიგნში „ერთსართულიანი ამერიკა“. ახლა კი... ერთი სიტყვით, ძალიან მომეწონა. ცოტა, რაგბის წაგავს, მაგრამ ბევრად ემოციური, სწრაფი და, ჩემი აზრით, უფრო საინტერესოა. ქალაქში აქვთ სპეციალური სტადიონები — ათ, ოც, ოცდაათი ათასამდე და უფრო მეტი მაყურებლისათვის. მიუნედავად ამისა, დენვერში მასპინძლებმა რის ვაი-ვაგლახითა გვიშოვეს ბილეთები თამაშზე.

უცებ გაირბინა . ორმა კვირამ, რომელმაც ყოველ ჩვენგანს ბევრი, ძალზე ბევრი რამ შეგვძინა შემეცნების თვალსაზრისით, რაშიც უდავოდ ქვეყნის მთლიან კომპიუტერიზაციას მიუძღვის ლომის წილი.

...ჩათავდება ეს წელიც. დადგება მაისი. გულთბილი მასპინძლები — ორი ამერიკული ოჯახი არვადადან და გრილიდან ჩამოვა თბილისში ჯემალ და გუგული ცერცვაძეების ოჯახს ესტუმრებიან. რით გავაკვირვებთ ამერიკელებს? ალბათ, უპირველეს ყოვლისა, ქართველთა გულღიაობით, სტუმართმოყვარეობით, მოყვასის სიყვარულით...



The City of Arvada

Be it known that the Mayor and City Council of the City of Arvada, Colorado, United States of America, in the name of the people of said city and with the power vested in them by the people do hereby award to

Djemal Tsertsvadze

the title of

Honorary Citizen

In recognition of outstanding service as an envoy of fellowship and good will.

Presented November 19, 1990

Lynn M. Easton, Mayor

Lorraine Anderson, Mayor Pro Tem — Bernadine Burgmaier, Councilmember

Donald Feland, Councilmember — Robert G. Frie, Councilmember

Tim Montgomery, Councilmember — Ted Terranova, Councilmember

სადაც უფრო გიჭირს...

საქმეში ჩახედულთ კარგად მოეხსენებათ თანამედროვე ხუთჭიდის მთელი სირთულე, რაც იმაში მდგომარეობს, რომ სპორტსმენი ერთნაირი სიძლიერით უნდა ფლობდეს ხუთივე სახეობას. ჩვენი სპორტსმენები ნიადაგ მოიკოჭლებდნენ ფარიკაობაში, პისტოლეტის სროლასა და ცხენოსნურ კონკურში. ამ ხარვეზის დაძლევის მიზნით ეს ერთი ხანია ტ[illegible]ობა საქართველოს ხუთჭიდელთა [illegible]ბელობა. მხოლოდ ამ, ეგრეთ წოდებულ, ტექნიკურ სახეობებში, თანაც ფარიკაობასა და სროლაში ორ-ორი ცდაა შემოღებული. ეტყობა ასპარეზობის ასეთი რეგლამენტი სხვასაც ხელს აძლევს, კერძოდ სომხეთისა და ხარკოვის ხუთჭიდელებს, რომლებიც რესპუბლიკის მორიგ ღია პირველობაში სიამოვნებით ჩაებნენ.

ასპარეზობაზე ოლიმპიური თამაშების პრიზიორ ვახტანგ იაგორაშვილის არყოფნამ (იგი საკავშირო ნაკრების შეკრებაზეა) მონაწილეთა ძალების ერთგვარი ნიველირება მოახდინა და ამდენად, ყოველგვარი პროგნოზი საკმაოდ სარისკო იყო. ფარიკაობის პირველ დღეს გაიმარჯვა თბილისის დინამოელმა ნოდარ შამოიანმა, მაგრამ მეორე დღეს უკეთესად იფარიკავა არმიელმა გიორგი ბერძენიშვილმა და ეს სახეობა მოიგო 2.368 ქულით. სროლაში შეკარდნელ ალექსანდრე ბასისტის დარჩა უძლიერესის სახელი (2.240 ქ). ცხენოსნურ კონკურში კი დინამოელმა თემურ ჰასანოვმა აჯობა ყველას, რომელმაც ქულათა მაქსიმუმი 1.100 დააგროვა. 5.595 ქულით საბოლოო გამარჯვება დინამოელ ალექსანდრ ბელოუსოვს დარჩა. მეორე ადგილზე გავიდა მისი თანაკლუბელი ნ. შამოიანი (5.452 ქ), მესამე საპრიზო ადგილზე — ერევნელი ონიკ მარონიანი (5.160 ქ).

გუნდური პირველობა ასე განაწილდა — პირველ ადგილზეა „დინამო“ — 12.743 ქულა (გუნდის ღირსებას იცავდნენ ნ. შამოიანი, ა. ბელოუსოვი, თ. ჰასანოვი); მეორე ადგილი მოიპოვა სომხეთის გუნდმა — 11.850 ქულა; მესამეზეა „შევარდენი“ — 11.112 ქულა.

კოპერატივმა „ლაზარემ“ პარალელურად გაათამაშა ფულადი ჯილდოები ხუთჭიდის სრული პროგრამით, რომელიც მოიპოვეს: შევარდნელმა ვიაჩესლავ მალიშევმა — 5.708 ქულა, 300 მანეთი; მისმა თანაკლუბელმა რევაზ ლოხიშვილმა — 5.582 ქულა, — 250 მან; თ. ჰასანოვმა — 5.552 ქულა, — 150 მან.

„ლელოს“ კორ.

ყოველ წამში 62 დოლარი

ვიენელი. დამთავრდა „დიდი მუზარადის“ თასის გათამაშება ჩოგბურთში, ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდი სარეკორდო თანხას — 6 მილიონ დოლარს შეადგენდა. ფინალში ამერიკელმა პიტ სამპრასმა დაამარცხა თანამემამულე ბრედ ჯილბერტი 6:3, 6:4, 6:2 და მიიღო გამარჯვებულისთვის დაწესებული ჯონონარი 2 მილიონი დოლარი.

სამპრასმა ოთხი შეხვედრის მოგებას, საერთო ჯამში, 533 წუთი მოანდომა. სტატისტიკოსებმა გაზომეს, რომ კორტზე გატარებულ ყოველ წამში იგი 62 დოლარს იღებდა, ყოველი პარტიის მოგებისთვის კი 165 ათას დოლარს. ამმობენ, ძალგაზრდა ჩოგბურთელს პროფესიულ სპორტში გატარებული ორი წლის შანსილზე ამდენი ფული ერთად, არც კი მიუღია.

ტურნირის ორგანიზატორებმა საპრიზო ფონდის ერთი მესამედი (2 მილიონი დოლარი) უნდა გადარიცხონ სხვადასხვა ქვეყანაში ჩოგბურთის განვითარების საკეთილისათვის, სამპრასმა კი თავისი ჰონორარიდან 250 ათასი დოლარი ამერიკის ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციას გადასცა.

„დიდი მუზარადის“ თასის გათამაშების ყველა — თექვსმეტივე მონაწილემ გარკვეული გასამრჯელო მიიღო. ასე მაგალითად, პირველსავე ტურში დამარცხებულ ჩოგბურთელს 100 ათასი დოლარი ეძლეოდა, მერე კი ჰონორარი იზრდებოდა იმის მიხედვით, თუ ვინ რომელ წრეში გავიდოდა. სწორედ ეს გახდა ზოგიერთ შეხვედრაში კონფლიქტების მიზეზი, რაც ჩოგბურთელთა ტურნირებისათვის ერთობ უნ[illegible]ველია.

თბილისის ჩემპიონატი მინიფეხბურთში

მეოთხედფინალები 20 დეკემბერს

გრძელდება თბილისის ჩემპიონატი მინიფეხბურთში უბნებს შორის. ასპარეზობის ორგანიზატორი, როგორც გაუწყეთ, ახალგაზრდულ-კომერციული ფირმა „ნარიყალა“, რომელიც ცდას და მონდომებას არ აკლებს, ტურნირმა მაღალ დონეზე რომ ჩაიაროს. თავის მხრივ, ჩემპიონატში მონაწილე გუნდების მოთამაშეებიც არ ზოგავენ თავს, რათა შეხვედრებზე მოსულმა მაყურებელმა. „მაყოფილმა დასტოვოს ტრიბუნები.

15-16 დეკემბერს გაიმართა მერვედფინალური მატჩები, დებულების თანახმად, ასპარეზობის მეორე ეტაპი ოლიმპიური სისტემით მიმდინარეობდა, რამაც უფრო დაძაბული გახადა ორთაბრძოლები.

განსაკუთრებით საინტერესოდ წარიმართა მატჩი „დიღომსა“ და „ოქროსუბნის“ გუნდებს შორის, მოვლენები კალეიდოსკოპური სისწრაფით იცვლებოდა. ძირითადმა და დამატებითმა დრომ გამარჯვებული ვერ გამოავლინა, თამაში ფრედ — 3:3 დამთავრდა. გამარჯვებულის კენჭი 7-მეტრიანმა საჯარიმო დარტყმებმა გაარკვია. სპორტული იღბალი ამჯერად დიღომელთა მხარეს იყო, — მათ გაიმარჯვეს ანგარიშით 7:6 და მეოთხედფინალის საგზური მოიპოვეს.

ასევე დაძაბულად წარიმართა მატჩი ჩემპიონატის ლიდერ „საბურთალო-1“-სა და „დიდუბე-1“-ს შორის. დიდუბელებმა ძლიერად ითამაშეს და გაიმარჯვეს კიდეც — 7:4. ამ მატჩში ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა ბ. ფანცულაიამ (მის ანგარიშზე 17 გატანილი გოლია) ჰეთ-თრიკი შეასრულა.

მერვედფინალის სხვა მატჩები ასე დამთავრდა: „ვერა-1“ — „ნაკალული“ 12:1, „ჩუღურეთი“ — „ვერა-2“ 7:0, „ვაჟა-ფშაველა“ — „ძველეთი“ 5:4, „საბურთალო-2“ — „ქართლი“ 10:1, „საბურთალო-4“ — „ვაკე-1“ 8:3; „დიდუბე-2“ — „ნაძალადევი-2“ 4:3.

მეოთხედფინალში გუნდები ასე დაწყვილდნენ: „დიღომი“ — „ჩუღურეთი“, „ვერა-1“ — „დიდუბე-1“, „საბურთალო-4“ — „დიდუბე-2“, „ვაჟა-ფშაველა“ — „საბურთალო-2“.

მეოთხედფინალური მატჩები „ქარიშხალას“ სპორტულ-კომპლექსში გაიმართება 20 დეკემბერს და დაიწყება 16 საათზე.

მიხეილ აბაიშვილი

ფ. ბეკენბაუერი გაწბილებულია

ცნობილმა გერმანელმა მწვრთნელმა ფრანც ბეკენბაუერმა განაცხადა, რომ დიდადაა გაწბილებული საფრანგეთში მუშაობით, სადაც იგი ახლა „მარსელის“ კლუბს ხელმძღვანელობს.

— ეტყობა, ვიჩქარე, როცა მივიღე ფრანგების მიწვევა, — თქვა მან, — მაგრამ მომავალში ასეთ შეცდომას აღარ დავუშვებ. უბრალოდ, ავჩქარდი და დავყაბულდი „მარსელის“ პრეზიდენტის ბერნარ ტაპის მიპატიჟებას.

რით უნდა იყოს უკმაყოფილო ფრანც ბეკენბაუერი, რომელიც, საagენტოების ცნობით, წელიწადში 2,5 მილიონ დოლარს ღებულობს და რომელსაც ბ. ტაპი დიდ პრემიას შეჰპირდა, თუ „მარსელი“ გაიმარჯვებს ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში?

ვერმანიის სააგენტო ხიდ-ის კორესპონდენტთან საუბარში ფრანც ბეკენბაუერმა განაცხადა:

— საჯარიმო პირობები მარსელში არადამაკმაყოფილებელია ევროპული კლასის გუნდისთვის. გარდა ამისა, ჯერჯერობით ვერ შეეფასა ენის პრობლემა. მე და მოთამაშეებს კარგად გვესმის ერთმანეთისა, მაგრამ სხვა ყველაფერი, რაზეც გარშემო ლაპარაკობენ, ჩემთვის ზეპირად გამოცანად რჩება. თუ ოდესმე ნელი მოვკიდე სხვა კლუბის წევრობას, მხოლოდ იმ პირობით, თუ მშობლიურ ენაზე მომაწვეს ლაპარაკი.

ფ. ბეკენბაუერმა ისიც თქვა, რომ მომავალში აღარ ჩაიბარებს გუნდს სეზონის დაწყების შემდეგ. მას მიაჩნია, რომ გვიან ჩავიდა მარსელში, უკვე აღარაფერი შეეძლო მოემოქმედა მოთამაშეთა გუნდიდან წასვლა-მოსვლის თაობაზე და ჩემპიონატისთვის მზადების საქმეშიც დაიგვიანა.

სკანდალი „ბოკა ხუნიორსის“ სტადიონზე

ტრაგედიით დამთავრდა არგენტინის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრა დედაქალაქის გუნდებს „ბოკა ხუნიორსსა“ და „სან-ლორენსოს“ შორის.

ვითარება სტადიონზე, რომელიც „ბოკა ხუნიორსს“ ეკუთვნის, დაიძაბა ჯერ კიდევ თამაშის დაწყებამდე, როცა დიქტორმა გამოაცხადა, რომ „სან-ლორენსოს“ ქომაგებმა მოიპარეს მასპინძელთა საკლუბო დროშა. შემდეგ, როცა დაწინაურდა „სან-ლორენსო“, მეტოქე გუნდების გულშემატკივრებმა ხერვები ვერ მოთოკეს და დაიწყო საყოველთაო ჩხუბი, გულშემატკივრები საბრძოლველად იყენებდნენ ყველაფერს, რაც კი ხელთ მოხვდებოდათ, ხელჩართული შეტაკებანი ტრიბუნებზე საათზე მეტ ხანს გაგრძელდა, მისი შეწყვეტა შეძლეს მხოლოდ პოლიციის გაძლიერებულმა რაზმებმა.

ამ კონფლიქტის სავალალო შედეგია ერთი დუღუბული და ათეულობით დაჭრილი, დაახლოებით 30 კაცი დააპატიმრეს. მათ წინააღმდეგ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

უცხოელი ფეხბურთელები მექსიკაში

უცხოელ ფეხბურთელთა და მწვრთნელთა რიცხვი მექსიკის საფეხბურთო ჩემპიონატში, რომელიც სულ ახლახან დაიწყო, უჩვეულოდ დიდია. პირველი დივიზიონის 20 კლუბიდან 14-ს წვრთნიან უცხოელი სპეციალისტები, მათ შორის ყველაზე ცნობილნი არიან ბრაზილიელი ფეხბურთელის ზიკოს ძმა ედუ, რომელიც „ვერაკუსტში“ მუშაობს და იუგოსლაველი დარგოსლავ შეკულარაცი („ამერიკა“).

უცხოელ ფეხბურთელთა რაოდენობამ 58-ს მიაღწია. მათგან ყველაზე მეტნი არიან არგენტინელები — 21.

ნარდი კავკასიური თამაშია?..

ნარდი რომ მარტო გასართობი და დროის გასაყვანი თამაში არ არის, ამაში საქართველოს პირველმა ჩემპიონატმაც დაგვარწმუნა. მაგრამ მაშინ, ასე თუ ისე, უმთავრესად მოყვარულები ეცილებოდნენ პირველობას ერთმანეთს — ჩვენი რესპუბლიკის ქალაქების წარმომადგენლები, ისინი, რომელთაც ორი დღით ადრე ვერ წარმოედგინათ, რომ ნარდი სპორტულ ასპარეზობათა ნუსხაში ჩაიწერებოდა. აი, საქართველოს ღია ჩემპიონატში კი, რომელშიც მასპინძელთა გარდა ათი სხვადასხვა ქვეყნის უძლიერესმა მონარდეებმა მოიყარეს თავი, დავუნახავთ, რომ მართლაც შეიძლება, ეს — „უწყინარი“ ნარდი იქცეს აზარტულ სპორტულ შეჯიბრებად.

ნარდი იმით არის საინტერესო, რომ სპორტის სხვა სახეობებისაგან განსხვავებით, აქ პროგნოზის გამართლების შესაძლებლობა ლამისაა ნულის ტოლია და გუშინდელი მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი დღეს შესაძლოა დამარცხდეს სრულიად ახალბედა მონარდესთან.

საქართველოს ღია ჩემპიონატშიც ძლიერმა მონარდეებმა მოიყარეს თავი. თავდაპირველად, როცა ქართველ და უცხოელ მონარდეთა პოტენციური შესაძლებლობები გავთვალეთ, მოგვეჩვენა, რომ ჩვენს თანამემამულეთათვის ამ ტურნირში მონაწილეობა დროისა და ფულის უაზრო ფლანგვა იქნებოდა მხოლოდ, რადგან არამცთუ საერთაშორისო ასპარეზობის გამარჯვებული, ერთი „ინტერკლასის“ მოთამაშეც არ გვყავდა საქართველოში. მაგრამ ნარდი რის ნარდია, თუ ყველა პროგნოზი თავდაყირა არ დააყენა...

ვენეციის თასის მფლობელი ტომას ლუმპერი, მსოფლიო რეიტინგით II მონარდე ტომ სერგესი, ამავე რეიტინგით VI ადგილზე მყოფი ჰარალდ მილარხი, ფინეთის ჩემპიონი პეტრი პრეტილა, ჰოლანდიის უპირველესი მონარდე და არაერთი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული ჟან ვან ინგენი, დანიის მრავალგზის ჩემპიონი ლუც არენდტი — აი, არასრული სია იმ ფავორიტებისა, რომელნიც საკუთარი კლასისა და ძველი წარმატებების მოიმედენი საქართველოს ღია ჩემპიონატის გამარჯვებულის წოდებაზე პრეტენზიას აცხადებდნენ, მაგრამ ნაადრევად გამოეთიშნენ ასპარეზობას. ხანგრძლივი და უშეღავათო ბრძოლების შემდეგ გამოვლინდნენ ნახევარფინალისტები. მათ შორის, საბედნიეროდ, ერთი ქართველიც აღმოჩნდა — საქართველოს ნარდის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი მიხეილ სურგულაძე. მაგრამ ფინალის საგზურისათვის ბრძოლაში 1990 წლის მსოფლიო თასის მფლობელ ალან შტეფენთან (რომელსაც „ტურნირის ყველაზე აუღელვებელ მონაწილეს“ უწოდებდნენ კოლეგები) მან შეცდომა დაუშვა და გამარჯვება „რკინისებურ ალანს“ (ესეც ამ ტურნირზე შერქმეული სახელია) დაუთმო — 11:17.

მეორე ნახევარფინალურ მატჩში გერმანელი, 1988 წლის მსოფლიო ჩემპიონი ფილიპ მარმორშტაინი და აზერბაიჯანის ჩემპიონი ფაიკ ჰუსეინოვი წარდგნენ ერთმანეთის პირისპირ. უნდა ითქვას, რომ პროგნოზის მოყვარულნი გამარჯვებას ამერიკელ მონარდეს უწინასწარმეტყველებდნენ, რადგან მან მეტად დაძაჯერებლად დაამარცხა ყველა მეტოქე, როგორც ჯგუფურ, ასევე წრიულ ორთაბრძოლებში, მისმა აზერბაიჯანელმა მეტოქემ კი, მართალია საკუთარი ოსტატობით, მაგრამ იღბლის საკმაო წყალობითაც მიაღწია ნახევრაფინალს. მაგრამ ვარაუდი არც აქ გამართლდა. ფ. ჰუსეინოვმა 5 ქულის უპირატესობით — 17:12 დაამარცხა მეტოქე და ცნობილი გახდა ფინალური წყვილიც: ალან შტეფენი — ფაიკ ჰუსეინოვი. ეს მოკლე ნარდში, „გრძელში“ ჯ ფინალის მონაწილენი — ვალერიან თორელი (თბილისი) და ვაგიფ ბაბევი (ბაქო) წინა დღით გამოვლინდნენ.

ვიდრე ფინალური შეხვედრები დაიწყებოდა ახალგაზრდულ ცენტრ „ბერიკონის“ დარბაზში, განახლდა ეროვნებათშორისი თასის გათამაშება, რომელიც წინა დღით დაიწყო „ჩაის სახლში“. საქართველოს ნაკრები ამერიკელ, ჰოლანდიელ და სომეხ მონარდეებთან ერთად მოხვდა შესარჩევ ქვეჯგუფში. ჩვენმა მონარდეებმა პირველ შეხვედრაში დაამარცხეს სომხეთის ნაკრები— — 2:1, მაგრამ შემდეგ ზედიზედ დამარცხდნენ ამერიკისა (1:3) და ჰოლანდიის (1:2) გუნდებთან. ამ ქვეჯგუფიდან შემდეგ ეტაპზე გზა გაიკაფეს ამერიკისა და ჰოლანდიის ნაკრებებმა, II შესარჩევ ქვეჯგუფში უძლიერესნი აღმოჩნდნენ გერმანიისა და „დანარჩენი ევროპის“ ნაკრები გუნდები (ევროპის ნაკრებს ძირითადად შეადგენენ დანიის, ფინეთისა და შვეიცარიის წარმომადგენლები, რომლებიც თითოოროლა რამოვდენენ თბილისში ძალიცხობრივი სამკლიების გამო — ვერ შეძლეს ერთიანად ოლიკატანი ნაკრებით ასპარეზობა). ნახევარფინალურ შეხვედრაში ამერიკელებმა დაამარცხეს გერმანელი მონარდეები, „ევროპელებმა“ კი ჰოლანდიელები. ფინალში უძლიერესები აღმოჩნდნენ ამერიკელები, რომელთაც დაამარცხეს მეტოქე ანგარიშით 3:0 და „ეროვნებათა თასს“ დაეუფლნენ.

ამის შემდეგ გრძელ ნარდში ჩემპიონობის პრეტენდენტები მიუსხდნენ მაგიდებს. ვალერიან თორელმა ვერაფერი მოუხერხა ბაქოელ ვაგიფ ბაბაევს და მშრალი ანგარიშით 0:6 — დამარცხდა. ვ. ბაბაევმა ჩემპიონობა მოიპოვა; ვ. თორელი II ადგილს დასჯერდა, III საპრიზო ადგილებზე გავიდნენ ლეო რუხაძე (თბილისი) და ჩინგიზ იუსუპოვი (აზერბაიჯანი).

მოკლე ნარდის ფინალური შეხვედრაც მეტად საინტერესო გამოდგა. ფაიკ ჰუსეინოვმა დაამარცხა ალან შტეფენი — 20:14. აქვე ვიტყვით, რომ მოკლე ნარდში საქართველოს ღია ჩემპიონატის გამარჯვებული ფ. ჰუსეინოვი მოყვარული მუსიკოსია, და ამავე სტატუსს მქონე მონარდეც. მით უფრო გასაკვირია მისი გამარჯვება პროფესიონალ უცხოელ მონარდეებთან ჭიდილში. მასპინძელთაგან ერთადერთი მონარდე — მიხეილ სურგულაძე გავიდა III ადგილზე გერმანელ ფილიპ მარმორშტაინთან ერთად. ერთი ქართველის საპრიზო სამეულში მოხვედრაც დიდი მიღწევაა ჩვენთვის — სპორტული ნარდი ხომ ახლა იდგამს ფეხს საქართველოში.

ლევან ჯავახიშვილი

მატჩი მსოფლიო პირველობაზე

ერთი ქულაც და...

კასპაროვ-კარპოვის მატჩის მეოცე პარტიას ერთგვარი წინასიტორიაც ახლდა. მისი 17 სვლა (გათამაშდა ესპანური პარტია), დაემთხვა მეოთხე შეხვედრას, სადაც კარპოვმა, საბოლოო ანგარიშით, უკეთესი პოზიცია მიიღო. ცხადია, ბრძოლის ამგვარივე გაგრძელება ჩემპიონს ხელს არ აძლევდა, ამიტომ მან მიმართა გეგმას, რომელიც კარპოვის წინააღმდეგ პრეტენდენტმა ფინალურ მატჩში ცნობილმა ჰოლანდიელმა დიდოსტატმა იან ტიმანმა გამოიყენა. კასპაროვმა შეწირა პაიკი, გახსნა თამაში და მეფის ფრთაზე იერიშზე გადასვლას შეეცადა. ის, რომ თეთრებს ჭარბი ძალები კარპოვის მეფის წინააღმდეგ იყრიდნენ თავს, ექსჩემპიონს განსაკუთრებულ საზრუნავს უჩენდა. მაგრამ იგი იმედოვნებდა შეტევის მოგერიებას და მატერიალური უპირატესობის შენარჩუნებას. ეს ერთი მხრივ გასაგებიც იყო. მართალია, კარპოვს არ უყვარს რისკის გაწევა და, მით უმეტეს, კასპაროვის წინააღმდეგ, მაგრამ სამატჩო სიტუაცია მას სხვაგვარი თამაშის საშუალებას არ აძლევდა.

26-ე სვლაზე ჩემპიონმა მეტოქეს ფიგურა შესწირა. შემდგომში კასპაროვმა, რომელიც თავის სტიქიაში აღმოჩნდა, პირდაპირ ვირტუოზულად იოამაშა. განახორციელა შეწირვების მთელი სერია, რომლის დროსაც შავი პაიკი მეორე ჰორიზონტალამდე მიუშვა. ერთი სიტყვით, კარპოვს ახალი ლაზერის „შეძენამდე“ ერთი სვლაღა აკლდა, მაგრამ საამისო დრო აღარ ჰქონდა. მას ყოველ სვლაზე საშამათო მუქარის მოგერიება უხდებოდა, ამასთან, უსასტიკეს ცაიტნოტშიც აღმოჩნდა, ბოლოს, როგორმე პირდაპირი შამათი რომ აეცილებინა თავიდან, კარპოვს მოუხდა ყოველგვარი მატერიალური ნადავლის უკანვე დაბრუნება და დარჩა კიდეც... ორი ხარისხის გარეშე. თამაშის გაგრძელებას, ცხადია, აზრი აღარ ჰქონდა და 41-ე სვლაზე ექსჩემპიონმა შეწყვიტა წინააღმდეგობა. ერთი სიტყვით, მართლდება იმ ექსპერტთა აზრი, რომლებიც თვლიდნენ, რომ შეჯიბრების მეორე ნახევარში კარპოვი ვეღარ გაუძლებდა ბრძოლის შემდგომ გამწვავებას.

მატჩის ანგარიში გახდა 11:9 კასპაროვის სასარგებლოდ. დარჩენილ 4 პარტიაში, თუ მათი გათამაშება გახდა საჭირო, ჩემპიონს ერთი ქულაღა სჭირდება თავისი წოდების შესანარჩუნებლად. მატჩის ბედი, ფაქტობრივად, გადაწყვეტილად ითვლება, მაგრამ თუ კარპოვს კიდევ რაიმე იმედი აქვს, მან დარჩენილ შეხვედრებში 3,5 ქულის მოგროვება უნდა სცადოს. მეტოქეებს რჩებათ თითო ტაიმ-აუტის უფლებაც.

კასპაროვ-კარპოვის მატჩის 21-ე პარტია, რომელიც გუშინ უნდა გამართულიყო, გადატანილია ხვალისათვის — უკანასკნელი ტაიმ-აუტის უფლებით ისარგებლა გარი კასპაროვმა.

„სპორტლოტო“

გაიმართა „სპორტლოტოს“ 1990 წლის 50-ე ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 45“-დან: 11 (ფრენბურთი), 19 (სათხილამურო რბოლები), 24 (ხელბურთი), 30 (ძალოსნობა), 32 (ფიგურული ციგურაობა), 44 (ჭადრაკი).

„სპორტლოტო 5 36“-დან: 18 (მძლეოსნობა), 19 (სათხილამურო რბოლები), 20 (აფროსნობა), 30 (ძალოსნობა), 35 („საიბიანი ჰოკეი“).



კალეიდოსკოპი

უარი — მილიონ დოლარზე

ბრაზილიის სპორტის კონფედერაციამ ქვეყნის საუკეთესო კალათბურთელ ქალს ოლივა ჰორტენზიას აუკრძალა იტალიაში თამაში. „იგი ჩვენ გვჭირდება, — განაცხადა ქვეყნის კალათბურთის ფედერაციის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, — ვინაიდან ეროვნულ ჩემპიონატს „ამშვენებს“, ბრაზილიელებმა დეპეშა გააგზავნეს იტალიაში და იქაურ სპონსორს აცნობეს, რომ ჰორტენზიამ მშობლიურ სან-პაულოში დარჩენა ამჯობინა და უარს ამბობს კონტრაქტზე, რომლის თანახმადაც, წელიწადში მილიონი დოლარი უნდა მიეღო.

საკუთარი მაღაზია

გერმანიის მძლეოსნობის ისტორიაში ერთ-ერთმა ყველაზე გამორჩეულმა და პოპულარულმა მძლეოსანმა, მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონმა მარიტა კოხმა თავის მშობლიურ ქალაქ როსტოკში (ყოფილი გდრ), სპორტული ინვენტარის საკუთარი მაღაზია გახსნა.

— მე დიდი ომის გადატანა მომიხდა ადგილობრივ ბიუროკრატებთან, სანამ მიზანს მივაღწევდი, — თქვა მან, — მაგრამ ბოლოს მაინც გავიტანე ჩემი.

მარიტა კოხის ავტორიტეტი განუზომლად დიდია გერმანიაში, მას სხვადასხვა დროს 16 მსოფლიო რეკორდი აქვს დამყარებული. 400 მეტრზე რბენაში კი დღემდე მსოფლიო რეკორდსმენად ითვლება. კოხმა სპორტს თავი მიანება ოთხი წლის წინ და მთელი ამ ხნის მანძილზე მაღაზიის გახსნისთვის იბრძოდა.

სამართლიანი შეშფოთება

ბარსელონის 1992 წლის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტში შეშფოთებულნი არიან დოლარის კურსის მკვეთრი დაცემით (ბოლო დროს 115 პესეტიდან იგი 93 პესეტამდე დაეცა). მიზეზი გახლავთ ის, რომ ტელეგადაცემების უფლება ესპანელებმა დოლარებზე გაყიდეს.

ამას გარდა, საორგანიზაციო კომიტეტმა სხვადასხვა სახის კონტრაქტების გაფორმების შემდეგ, დამატებით 450 მილიონი დოლარი მიიღო. ახლა კი, ინფლაციის გამო, ეს თანხა საგრძნობლად შეიძლება შემცირდეს.

ახალი ტურნირი

მომავალი წლიდან ავსტრიის, უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის კალათბურთელთა გუნდები ითამაშებენ ერთ ჩემპიონატში, რომელსაც „სუპერლიგა“ ეწოდა. პრინციპული შეთანხმება ამ სიახლეზე მიღწეულ იქნა ავსტრიის დედაქალაქში მოწყობილ სპეციალურ თათბირზე.

სამი ქვეყნის კალათბურთის ფედერაციების ხელმძღვანელთა განცხადებით, ეს თამამი პროექტი, პირველ რიგში, მიზნად ისახავს კალათბურთის განვითარებას და შემდგომ პოპულარიზაციას. „სუპერლიგის“ მომავალ ჩემპიონატში ყოველი ქვეყანა 4-4 საუკეთესო კლუბს გამოიყვანს. პრიზიორები მიიღებენ არა მარტო სპეციალურ ჯილდოებს, არამედ ფულად პრემიებსაც.

კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციამ ამ პროექტს მხარი დაუჭირა. ახლა დაზუსტების პროცესშია მომავალი ჩემპიონატის ზოგიერთი საორგანიზაციო დეტალი.

მეექვსე ცდა

ფეხბურთელთა მომავალ მსოფლიო ჩემპიონატს, რომელიც 1994 წელს აშშ-ში უნდა ჩატარდეს, ორგანიზაციულ ხელმძღვანელობას გაუწევს ჰერმან ნოიბერგერი (გერმანია). საერთაშორისო ფეხბურთის ეს საკმაოდ ცნობილი სპეციალისტი ფედერაციამ კვლავ მიიწვია სამუშაოდ. როგორც ჟურნალისტები აღნიშნავენ, ნოიბერგერს უკვე მეექვსედ აბარებენ მსოფლიო ჩემპიონატის მოწყობას.

ფეხბურთელი — ტანვოვარჯიშეთა პრეზიდენტი

ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციის პრეს-სამსახურის განცხადებით, მსოფლიოს 1993 წლის ჩემპიონატი სპორტულ ტანვარჯიშში ჩატარდება ბირმინჰემში. ინგლისის ამ ქალაქმა კონკურსში მეხიკოსა და სტოკჰოლმს აჯობა. შეჯიბრება მოეწყობა ახალ სადემონსტრაციო დარბაზში, რომლის მშენებლობის დამთავრება მომავალი წლისთვისაა ნავარაუდევი.

საინტერესოა, რომ ტურნირის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იქნება წარსულში საკმაოდ ცნობილი ფეხბურთელი ბილ სლეიტერი (იგი ინგლისის ეროვნული ნაკრების წევრი-და „ვულვერჰემპტონის“ კაპიტანი იყო), რომელიც ამჟამად ბრიტანეთის ტანვარჯიშის ასოციაციის პრეზიდენტის პოსტზე მუშაობს.

„სპორტპროგნოზი“

50-ე ტირაჟის შედეგები

(15-16 დეკემბერი)

1-1, 2-1, 3-2, 4-2, 5-1, 6-X, 7-X, 8-1, 9-X, 10-1, 11-X, 12-1, 13-1.

შენიშვნა: პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

„ლელოს“ შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 20 დეკემბერს.

რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე



ბორის პაიჭაძის
სახელობის
ეროვნული სტადიონი

(აკ. წერეთლის გამზირი № 2)

22 დეკემბერი

ფეხბურთი

თბილისი (ვეტერანები) — „ბორდა“ (რუხთავი)

დასაწყისი 12 საათზე

მატჩის შემდეგ გათამაშდება ნივთების ლატარიის ტირაჟები.

თითოეულ ტირაჟში ყოველ 100 ათას ბილეთზე თამაშდება 10 იტალიური წარმოების ფირმა „ფიატ-ტიპოს“ უკანასკნელი მოდელის ახალი ავტომანქანები.

ლატარიის ბილეთები იყიდება სტადიონის სალაროებში 10-დან 18 საათამდე, ყოველდღე.

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ი. ჩახვაშვილი, კორექტორები მ. ძეძამიძე და ე. ზომერიკი.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380009, თბილისი, ფ. ქიქოძის ქ. 10,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ფველი“.

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 99-87-55,
სარედაქციო — 99-87-58,
ინფორმაციის განყოფილება — 99-87-54,
„ზენიტი“ — 99-87-56, „ბიბიფენ“ — 99-87-57.

ანგარიშსწორების ეროვნული ბანკი

ხელმოწერილია ბეჭდვაზე 17-ის ნაშუადღევს. ფორმატი 60x90 1/8. ბეჭდვა ოფსეტური. ფიზიკური ბეჭდური ფურცელი 2,5. სააღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 3,0. ტირაჟი 3000. ფასი 1 მანეთი. „ლელოს“ ბეჭდავს „ბ“ ტიპოგრაფია, ... ქ. 14. ... ბეჭდავს ... ტიპოგრაფია ... ქ. 10. ... ბეჭდავს ... ქ. 10.

ხელმოწერილია ... 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20